ვიქტორინის ჩატარების ზოგადი წესები

- გუნდებს მიეცემათ 15 შეკითხვა (3-3 შეკითხვა შემდეგი საგნებიდან: მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია და ქიმია).
- მოსაფიქრებელი დრო და ქულების რაოდენობა დამოკიდებულია შეკითხვის სირთულეზე;
- თანაბარი ქულების მოპოვების შემთხვევაში საპრიზო ადგილების პრეტენდენტებისათვის ინიშნება ბლიცტური .

ბლიცტურის ზოგადი წესები:

- გუნდებს მიეცემათ ტესტი 5 ერთნაირი შეკითხვით (თითო კითხვა თითო საგნიდან);
- მოსაფიქრებელი დრო - 1 წუთი.
- თანაბარი ქულების მოპოვების შემთხვევაში, ბლიცტური გრძელდება თითო-თითო შეკითხვით გამარჯვებულის გამოვლენამდე.

ვიქტორინის მოთხოვნები და მიმდინარეობა

- თითოეული შეკითხვა გამოისახება ეკრანზე და იკითხება ვიქტორინის წამყვანის მიერ;
- მოსაფიქრებლად გამოყოფილ დროში მოსწავლეები პასუხს წერილობით აფიქსირებენ საპასუხო ბარათზე. მხოლოდ სიტყვიერად გაცემული პასუხი მხედველობაში არ მიიღება;
- მოსაფიქრებელი დროის ამოწურვის შემდეგ გუნდის კაპიტანი დამკვირვებელს გადასცემს საპასუხო ბარათს;
- შეკითხვას რიგ-რიგობით პასუხობენ გუნდები - კაპიტანი ან მის მიერ დასახელებული გუნდის რომელიმე წევრი;
- საპასუხო ბარათები გადაეცემა ვიქტორინის შედეგების დამთვლელ კომისიას.

შედეგების გამოცხადება:

- შედეგების დამთვლელი კომისია ითვლის ქულებს და გამოავლენს გამარჯვებულებს;
- ვიქტორინაში გამარჯვებულებს გადაეცემათ წამახალისებელი ჯილდოები;
- გამარჯვებული გუნდების თითოეულ წევრს, ასევე საჯარო სკოლას გადაეცემა შესაბამისი ტურის გამარჯვებულის სიგელი (ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 კვირის ვადაში).

აკრძალვები:

- გუნდი დაჯარიმდება კარნახის, ნებართვის გარეშე გუნდის წევრის მაგიდიდან ადგომის, დარბაზიდან გასვლის, აგრეთვე ხმაურის ან უხეში ქცევის შემთხვევაში;
- ჯარიმის ქულა განისაზღვრება დარღვეული წესის შესაბამისად.